



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

უსაფრთხოების მიმოხილვა

ზურაბ ბატიაშვილი

ლიბიის კრიზისის „სირიიზაცია“: საფრთხეები და გამოწვევები

2020

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება დაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის
ფონდი 2020

თუ აქამდე რუსეთ-თურქეთის დაპირისპირება ახლო აღმოსავლეთში (სირიაში) მოსკოვის აშკარა უპირატესობით მიმდინარეობდა, ბოლო პერიოდში სამხედრო სიტუაცია ანკარის სასარგებლოდ შეიცვალა ლიბიაში, სადაც 2020 წლის გაზაფხულიდან დაძაბულობის ეპიცენტრმა გადაინაცვლა.

ლიბიაში მიმდინარე სამოქალაქო ომში ადგილზე მეზობლ მხარეთა დახმარების მიზნით ჩაერთო არაერთი უცხო ქვეყანა, რომლებიც დიდი ხანია ერთმანეთს უპირისპირდება ახლო აღმოსავლეთის ცხელ წერტილებში. ამან კი საბრძოლო მოქმედებების ესკალაცია და კონფლიქტის ინტერნაციონალიზაცია გამოიწვია. ლიბიის კონფლიქტი ნელ-ნელა სირიის სამოქალაქო ომს (მოხდა კონფლიქტის „სირიიზაცია“) დაემსგავსა, სადაც უცხო ქვეყნები ე.წ. Proxy-ების (ადგილზე საკუთარი მომხრეები) საშუალებით იბრძვიან.

ეს სამოქალაქო ომი არაერთ საფრთხესა და გამოწვევას ქმნის როგორც რეგიონში, ისე - მის გარეთ.

სამოქალაქო ომის ესკალაცია

2011 წელს დიქტატორ კადაფის ხელისუფლებიდან ჩამოშორების შემდეგ ლიბიაში ძალაუფლების ვაკუუმი გაჩნდა, რასაც სამოქალაქო ომი, არასტაბილურობა, დიდი მსხვერპლი და ქვეყნის დანაწევრება მოჰყვა.¹

2019 წლისთვის „ლიბიის ეროვნული არმიის“ ლიდერი, გენერალი ხალიფა ჰაფთარი (რომელსაც მხარს უჭერენ რუსეთი, ეგვიპტე, საუდის არაბეთი, გაერთიანებული არაბული საემიროები, საფრანგეთი და იორდანია) გამაგრდა ლიბიის აღმოსავლეთ ნაწილში და უცხოელი მოკავშირეების დახმარებით 2019 წლის აპრილიდან მოყოლებული იერიში მიჰქონდა დედაქალაქ ტრიპოლიში გამაგრებულ გაეროს მიერ აღიარებულ ფაიაზ ალ-სარაჯის მთავრობაზე (რომელსაც მხარს უჭერენ თურქეთი, კატარი და იტალია).²

სხვადასხვა ქვეყნიდან მიწოდებული რუსული სამხედრო ტექნიკასთან ერთად ჰაფთარს ეხმარებიან უცხოელი მეზობლებითაც, მათ შორის, აჯანყებულების მხარეს იბრძვის ათასობით სუდანელი მეზობელი, ასადის რეჟიმის სირიელი სამხედროები და 2019 წლის დეკემბრიდან რუსული „ვაგნერის“ მეზობლებიც.³ გაეროს მოხსენების მიხედვით, ამ უკანასკნელთა რაოდენობა 800-1200 კაცს შორის მერყეობს.⁴

გენერალი ჰაფთარი აიღებდა კიდევ ტრიპოლის (ბრძოლები უკვე ქალაქის ქუჩებში მიმდინარეობდა), რომ არა 2019 წლის დეკემბრიდან თურქეთის მეტად ენერგიული და

¹ <https://www.bbc.com/news/world-africa-52846879>

² <https://www.bbc.com/news/world-africa-52846879>

³ <https://ahvalnews.com/turkey-libya/turkish-russian-proxy-war-jeopardises-peace-agreement-libya-bloomberg>

⁴ <https://nationalinterest.org/blog/middle-east-watch/turkish-proxy-gains-libya-are-no-cure-ankara%E2%80%99s-growing-isolation-157751>

სწრაფი ჩარევა სიტუაციაში.⁵ ანკარამ, რომელიც სირიის კონფლიქტითაცაა დაკავებული და ეკონომიკაშიც სერიოზული პრობლემები აქვს, ლიბიისთვისაც მოიცალა. მან ამ ქვეყანაში ათასობით პროთურქი სირიელი მებრძოლის,⁶ სამხედრო ინსტრუქტორებისა⁷ და თურქული წარმოების თანამედროვე იარაღის (მათ შორის, განსაკუთრებით აღსანიშნავია უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენება. გაეროს ლიბიის საკითხებში სპეციალური წარმომადგენლის დასან სალამეს განცხადებით, ეს კონფლიქტი არის „ყველაზე დიდი დრონების ომი ისტორიაში“⁸) გაგზავნით შეძლო არა მხოლოდ ტრიპოლის პროთურქული მთავრობის გადარჩენა, არამედ ბევრ ადგილას კონტრშეტევაზეც გადავიდა და 2020 წლის მაისში კონტროლი დაამყარა ტუნისის მოსაზღვრე ტერიტორიებზე, ალ-ვატიას საჰაერო ბაზაზე. პროთურქულმა ძალებმა ასევე გაყარეს მოწინააღმდეგეები დედაქალაქ ტრიპოლის გარეუბნებიდან და აიღეს ქ. ტარჰუნა,⁹ რითაც ფაქტობრივად დაიკავეს ქვეყნის დასავლეთი ნაწილი, ხოლო ივნისის დასაწყისში მიადგნენ სტრატეგიულად მნიშვნელოვან ქ. სირტს.¹⁰

ამგვარად, პროთურქული ძალები მიუახლოვდნენ ქ. სირტის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ნავთობით მდიდარ საბადოებს. სირტის აღების შემთხვევაში, მათ ეხსნებათ გზა როგორც ამ საბადოებისკენ, ისე აჯანყებულთა მთავარ ქალაქ ბენღაზისკენ.

შექმნილ სიტუაციაში 6 ივნისს ეგვიპტემ წამოაყენა ცეცხლის შეწყვეტის წინადადება.¹¹ თუმცა, თურქეთმა და ლიბიის პროთურქულმა მთავრობამ უარი თქვეს ამ შეთავაზებაზე.¹²

თურქეთისა და პროთურქული ძალების გააქტიურების საპასუხოდ რუსეთმა მაისის ბოლოს სამხედრო თვითმფრინავები სირიიდან (ხმეიმიმის ბაზა) ლიბიის ტერიტორიაზე გადაისროლა, რითაც პროთურქული ძალებისთვის სამხედრო თვალსაზრისით სერიოზული საპირწონე შექმნა.¹³ თუმცა, რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალები, „ვაგნერის“ მებრძოლებისგან განსხვავებით, ამ ეტაპამდე არ ჩართულან აქტიურ საბრძოლო მოქმედებებში.

⁵ <https://nationalinterest.org/blog/middle-east-watch/turkish-proxy-gains-libya-are-no-cure-ankara%E2%80%99s-growing-isolation-157751>

⁶ <https://www.france24.com/en/20200519-syrian-rebel-and-regime-forces-now-fight-in-libya>

⁷ <https://www.syriahr.com/%d8%a7%d9%84%d9%85%d8%b1%d8%aa%d8%b2%d9%82%d8%a9-%d8%a7%d9%84%d8%b3%d9%88%d8%b1%d9%8a%d9%88%d9%86-%d9%81%d9%8a-%d9%84%d9%8a%d8%a8%d9%8a%d8%a7-%d9%85%d9%86-%d8%a7%d9%84%d8%a5%d8%b0%d8%b9%d8%a7%d9%86/>

⁸ <https://ahvalnews.com/turkey-drones/how-turkeys-drone-war-saved-libyan-government-tripoli-al-jazeera>

⁹ <https://nationalinterest.org/blog/middle-east-watch/turkish-proxy-gains-libya-are-no-cure-ankara%E2%80%99s-growing-isolation-157751>

¹⁰ <https://www.trtworld.com/magazine/how-turkish-drones-are-changing-the-course-of-the-libyan-civil-war-36544>

¹¹ <https://www.france24.com/en/20200606-egypt-announces-new-plan-to-end-war-in-libya-as-haftar-offensive-loses-ground>

¹² <https://www.aljazeera.com/news/2020/06/turkey-dismisses-egypt-ceasefire-offer-attempt-save-haftar-200610134125828.html>

¹³ <https://www.al-monitor.com/pulse/en/originals/2020/05/turkey-russia-libya-may-lead-to-faceoff-similar-to-syria.html>

ასეთ სიტუაციაში ანკარა არ ჩქარობს მოსკოვთან ღია კონფრონტაციაში შესვლას და ოფიციალურ განცხადებებში ლიბიის კრიზისის წარმოქმნაში არაბულ ქვეყნებს ადანაშაულებს, რომელთა უკანაც, ცხადია, რუსეთი დგას.¹⁴ თუმცა, მეორე მხრივ, აძლიერებს საკუთარ სამხედრო ყოფნას რეგიონში. ანკარამ 11 ივნისს ხმელთაშუა ზღვაში, ლიბიის სანაპიროს გასწვრივ, ჩაატარა დიდი სამხედრო წვრთნები, რომელშიც მისი სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალები მონაწილეობდნენ.¹⁵ ეს ნაბიჯი მკაფიო სიგნალია მოწინააღმდეგეთათვის, რომ ანკარა არ აპირებს უკანდახევას და იგი, საჭიროების შემთხვევაში, არ მოერიდება სამხედრო ესკალაციას.

უფრო მეტიც, თურქეთის პროსახელისუფლებო გაზეთ „Yeni Şafak“-ის ინფორმაციით, ანკარა, ადგილზე ძალთა ბალანსის სათავესოდ შეტრიალების მიზნით განიხილავს ორი სამხედრო ბაზის დაარსების შესაძლებლობას ლიბიის ტერიტორიაზე.¹⁶

ლიბიის სამოქალაქო ომს დღემდე ათასობით ადამიანის (მათ შორის, მშვიდობიანი მოსახლეობის) სიცოცხლე შეეწირა.¹⁷ ასიათასობით ლიბიელი იქცა ლტოლვილად (ზოგიერთი მონაცემებით, მთელი მოსახლეობის დაახლოებით მესამედი).¹⁸ ფაქტობრივად მოშლილია ჯანდაცვისა და განათლების სისტემები. აღარ ფუნქციონირებს სახელმწიფო ინსტიტუტები. ქვეყანაში უკვე წლებია გამეფებულია ქაოსი და განუკითხაობა. კონფლიქტმა ეთნიკური შეფერილობაც მიიღო (ერთი მხრივ, არაბული ტომები და, მეორე მხრივ, თურქული, ჩერქეზული და ბერბერული წარმოშობის ჯგუფები¹⁹).

ამასთან, ჩაიშალა ლიბიის საკითხზე დღემდე შემდგარი არაერთი მოლაპარაკება და მიღწეული შეთანხმება. საბოლოო ჯამში, ლიბია, სხვა ბევრი ქვეყნის მსგავსად, იქცა ე.წ. „Failed State“-ად („არშემდგარი სახელმწიფო“), აქედან გამომდინარე ყველა შესაძლო შედეგით.

ლიბიის მნიშვნელობა და მხარეთა ინტერესები

ლიბია მრავალმხრივ მნიშვნელოვანი ქვეყანაა და ამის გამო მის მიმართ ინტერესი არასოდეს იკლებს.

უპირველეს ყოვლისა, ლიბია მდიდარია ბუნებრივი რესურსებით - ნავთობისა და ბუნებრივი აირის რესურსების თვალსაზრისით აფრიკის უმდიდრესი ქვეყანაა (2010 წელს დღეში 1,6 მილიონ ბარელ ნავთობს მოიპოვებდნენ²⁰). ამასთან, იგი, სპარსეთის ყურისგან განსხვავებით,

¹⁴ <https://www.al-monitor.com/pulse/en/originals/2020/05/turkey-russia-libya-may-lead-to-faceoff-similar-to-syria.html>

¹⁵ <https://www.middleeasteye.net/news/turkey-libya-military-drill-bases-gna>

¹⁶ <https://www.middleeasteye.net/news/turkey-libya-military-drill-bases-gna>

¹⁷ <https://www.libyaobserver.ly/news/human-rights-solidarity-about-4000-people-were-victims-armed-fighting-libya-2018>

¹⁸ <https://www.newyorker.com/magazine/2015/02/23/unravelling>

¹⁹ <https://www.nytimes.com/2014/08/25/world/africa/libyan-unrest.html>

²⁰ <https://www.bbc.com/turkce/haberler-dunya-52851716>

გეოგრაფიულად ახლოს მდებარეობს ევროპასთან. შესაბამისად, აქედან ნავთობისა და ბუნებრივი აირის ტრანსპორტირება უფრო იაფი და უსაფრთხოა.²¹ ამგვარად, ბევრი ქვეყნისთვის მიმზიდველი სწორედ ეს რესურსებია.

აღსანიშნავია, რომ ლიბია გეოგრაფიულად გასასვლელია აფრიკის სხვა ქვეყნებისაკენ, სადაც კონფლიქტში მონაწილე მხარეებს ასევე სურთ საკუთარი გავლენის გავრცელება.

რამდენადაც არასტაბილური ლიბია შესაძლოა გახდეს ევროპის მიმართულებით ლტოლვილთა ახალი ნაკადების დამკრის ადგილი, ევროპის ქვეყნების ინტერესშია, რომ აქ მშვიდობამ დაისადგუროს.²² თუმცა, ასეთი ვითარება ხელსაყრელია რუსეთისთვის, რომელიც საერთაშორისო არენაზე ცნობილია თავისი შანტაჟის პოლიტიკით და რომელსაც სირიის შემდეგ საკუთარი გავლენის ქვეშ ლიბიის მოქცევაც უნდა.

შეერთებული შტატები თავიდან ჰაფთერის მხარეს იჭერდა და დროდადრო ბომბავდა ჯიჰადისტების პოზიციებს,²³ ბოლო დროს კი უფრო მოსკოვის საწინააღმდეგო პოზიციას იკავებს. მაგალითად, 26 მაისს აშშ სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალმა ევროპასა და აფრიკაში, გენერალმა ჯეფ ჰერიგენმა განაცხადა, რომ რუსული ქმედებები რეალურ საფრთხეს ქმნის ევროპის სამხრეთ ფლანგზე.²⁴ თუმცა ვაშინგტონს, მეორე მხრივ, არ სურს რადიკალური ჯგუფების გამლიერება რეგიონში²⁵ და ამდენად ლიბიის საკითხზე მხოლოდ განცხადებებით შემოიფარგლა და რეალური ნაბიჯები არ გადაუდგამს.

თურქეთის ინტერესებში, ბუნებრივი რესურსების (ლიბიისა და ხმელთაშუა ზღვის ნავთობი და ბუნებრივი აირი) გარდა, არის ოსმალური მემკვიდრეობა (ლიბია 1551-1911 წლებში ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა). 2020 წლის 14 იანვარს თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა ღიად განაცხადა, რომ ლიბია ოსმალური მემკვიდრეობაა, სადაც დაახლოებით 1 მილიონი თურქული წარმოშობის მოქალაქე ცხოვრობს და რომ ანკარა ჰაფთერს არ მისცემს მათი განადგურების საშუალებას.²⁶

ამასთან, საგულისხმო ფაქტია, რომ თურქეთმა 2019 წლის 27 ნოემბერს სარაჯის მთავრობასთან ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა ორი ქვეყნის განსაკუთრებული ეკონომიკური ზონები ხმელთაშუა ზღვაში.²⁷ აქედან გამომდინარე, მათ ახალ საზღვაო საზღვრებში ბუნებრივი რესურსების მოპოვების უფლებაც ენიჭებათ. მაგრამ

²¹ <https://www.bbc.com/news/world-africa-52846879>

²² <https://nationalinterest.org/blog/middle-east-watch/turkish-proxy-gains-libya-are-no-cure-ankara%E2%80%99s-growing-isolation-157751>

²³ <https://www.bbc.com/news/world-africa-52846879>

²⁴ <https://www.al-monitor.com/pulse/en/originals/2020/05/turkey-russia-libya-may-lead-to-faceoff-similar-to-syria.html>

²⁵ <https://www.al-monitor.com/pulse/en/originals/2020/05/turkey-russia-libya-may-lead-to-faceoff-similar-to-syria.html>

²⁶ <https://www.aa.com.tr/tr/libya/cumhurbaskani-erdogan-haftere-hak-ettigi-dersi-vermekten-asla-geri-durmuyacagiz/1701917>

²⁷ <https://www.aa.com.tr/en/energy/energy-security/libya-hails-deal-with-turkey-on-maritime-boundaries/27600>

ეგვიპტეს, საბერძნეთსა და კვიპროსს უკანონოდ მიაჩნიათ ეს ხელშეკრულება და თვლიან, რომ ილაზხება მათი ეროვნული ინტერესები.²⁸

თურქეთის სურვილს, გახდეს სუნიტური სამყაროს ლიდერი (ამ საქმეში მისი მოკავშირე რეგიონში მოქმედი საერთო სუნიტური მოძრაობა „ძმები მუსლიმებია“), ძლიერ წინააღმდეგობას უწევს საუდის არაბეთი და მის გარშემო შემოკრებილი სხვა არაბული ქვეყნები - ეგვიპტე (კაირო განსაკუთრებით შეშფოთებულია „მუსლიმი ძმების“ პოზიციების გაძლიერებით მეზობელ ლიბიაში, მიიჩნევს რა ამ ორგანიზაციას ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად საკუთარი უსაფრთხოებისთვის),²⁹ იორდანია, არაბთა გაერთიანებული საამიროები. ამიტომ ეს ქვეყნები ბუნებრივად თურქეთის მოწინააღმდეგე ჰაფთერს მიემხრნენ.³⁰

ამ ქვეყნების ჯგუფს მიემხრო საფრანგეთიც, რომელიც ტრადიციულად ეჭვიანობს ხმელთაშუა ზღვაზე თურქეთის გავლენის გაძლიერებაზე. მსგავსი მიდგომა აქვთ ისრაელს, საბერძნეთსა და კვიპროსსაც, რომლებიც ასევე ანტითურქულ ბანაკში მოიაზრებიან.³¹

ლიბიაში სამოქალაქო ომში ჩართული მხარეებისთვის აუცილებლად გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ეს ქვეყანა ტერიტორიულად ძალიან დიდია - თითქმის 1,8 მილიონი კვ. კმ.,³² (ანუ თურქეთზე დაახლოებით 2,5-ჯერ დიდია). შესაბამისად, სამხედრო უპირატესობის მოპოვების შემთხვევაშიც კი ძალზე გაჭირდება ამხელა ტერიტორიების ეფექტიანი კონტროლი.

საფრთხეები და გამოწვევები

- ლიბიის „სირიიზაცია“ აჩვენებს, რომ ნებისმიერი ე.წ. “Failed State” („არშემდგარი სახელმწიფო“) ძალზე მოწყვლადია და რეალურად დგას ერთმანეთთან დაპირისპირებული უცხო ძალების ჩარევის საფრთხის წინაშე. ლიბიის შემდეგ შესაძლოა დადგეს სხვა მსგავსი ქვეყნის ან ქვეყნების (იემენი, ლიბანი და ა.შ.) ჯერი, რაც საფრთხეს უქმნის რეგიონულ უსაფრთხოებას;
- თუ რუსეთმა ჩათვალა, რომ ამ ეტაპზე მას არ შესწევს ძალა ლიბიაში აქტიურად ჩაეროს, მან შესაძლოა იფიქროს სხვა მიმართულებით სამაგიეროს გადახდაზე თურქეთისთვის და ასეთი ადგილი შესაძლოა იყოს აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვა

²⁸ <https://nationalinterest.org/blog/middle-east-watch/turkish-proxy-gains-libya-are-no-cure-ankara%E2%80%99s-growing-isolation-157751>

²⁹ <https://www.al-monitor.com/pulse/en/originals/2020/05/turkey-russia-libya-may-lead-to-faceoff-similar-to-syria.html>

³⁰ <https://nationalinterest.org/blog/middle-east-watch/turkish-proxy-gains-libya-are-no-cure-ankara%E2%80%99s-growing-isolation-157751>

³¹ <https://www.middleeastmonitor.com/20200611-israel-research-centre-turkeys-role-in-libya-threatens-tel-avivs-interests/>

³² <https://unstats.un.org/unsd/demographic/products/dyb/DYB2003/Table03.pdf>

(მათ შორის, სირიაც). მით უმეტეს, ამ ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში (იდლიბში) უკვე შეინიშნება რუსულ-სირიული ძალების გააქტიურება;

- რამდენადაც ლიბიის საკითხზე არ არსებობს შეთანხმება რუსეთსა და თურქეთს შორის, ეს კონფლიქტი, სირიის სამოქალაქო ომის მსგავსად, ქმნის რუსეთ-თურქეთის პირდაპირი სამხედრო დაპირისპირების საფრთხეს, რაც არ შედის საქართველოს ინტერესებში;
- ამ მომენტისთვის არც ერთ მებრძოლ მხარეს არ აქვს პრობლემის სამხედრო გზით გადაწყვეტის ძალა. ამიტომ საკმაოდ რეალურია ლიბიის ორ ან ორზე მეტ ნაწილად დე ფაქტო გაყოფის საფრთხე. ასეთი პრეცედენტის დაშვებამ კი შესაძლოა „დომინოს ეფექტი“ გამოიწვიოს რეგიონში, სადაც საზღვრები ხშირ შემთხვევაში ხელოვნური და პირობითია;
- ამ ეტაპზე გაურკვეველია, როგორი იქნება აქ მებრძოლი ათასობით სირიის ოპოზიციის ჯიჰადისტური მებრძოლების შემდგომი ბედი. საბრძოლო მოქმედებების დასრულების ან შეჩერების შემდეგ მათი ნაწილი შესაძლოა ევროპაში გადასვლასაც შეეცადოს. ეს კი შექმნის დამატებით საფრთხეებს და გამოწვევებს ევროპული ქვეყნებისთვის;
- ასეთ სიტუაციაში მყოფი ლიბია საიმედო თავშესაფარს წარმოადგენს არა მხოლოდ სირიიდან ჩასული ჯიჰადისტური მემორებისთვის. მათი აქ დამკვიდრების შემთხვევაში, ლიბია შესაძლოა იქცეს ერთ ძლიერ ჯიჰადისტურ კერად და მიზიდულობის ცენტრად ექსტრემისტული ჯგუფებისთვის, რომელთაც ბუნებრივი რესურსების (ნავთობი და ბუნებრივი აირი) რეალიზაციის შედეგად სავარაუდოდ სერიოზული ფინანსური წყაროებიც გაუჩნდებათ. ყოველივე ამის შედეგად კი, როგორც ეს მოხდა ერაყსა და სირიაში „დაეშის“ დამკვიდრების შემდეგ, ჯიჰადისტებმა შეიძლება დაიწყონ როგორც რადიკალური იდეოლოგიის ექსპორტი მოწყვლად ქვეყნებსა და თემებში, ისე ახალი მებრძოლების მიზიდვა. ამ ყველაფრის გათვალისწინებით კი აუცილებლად მხედველობაშია მისაღები ამ მიმართულებით საქართველოს სამწუხარო გამოცდილება;
- საქართველოს ინტერესებში არ შედის ლიბიის „სირიიზაცია“ და, განსაკუთრებით, იქ რუსეთის გავლენის გაზრდა, რადგან ასეთ შემთხვევაში შესაძლოა აქაც დადგეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ე.წ. „დამოუკიდებლობის“ აღიარების საკითხი (როგორც ეს იყო სირიის შემთხვევაში);
- ცნობილია, რომ სირიაში მყოფ ჯიჰადისტურ ორგანიზაციებში გაერთიანებული არიან იქ საომრად წასული საქართველოს მოქალაქეებიც. ამ ეტაპზე უცნობია, გადავიდა თუ არა მათი ნაწილი ლიბიაში. თუმცა, თუ სირიაში მათთვის სიტუაცია გაუარესდება, შესაძლოა მათთვის ლიბია სერიოზული ალტერნატივა გახდეს, ყველა თავისი უარყოფითი შედეგით.